

გაითვალისწინეთ, აღნიშნული ტესტი არის მხოლოდ ფინალური ტურის ნიმუში. ფინალურ ტურში დაგხვდებათ 12 საკითხი. გისურვებთ გამარჯვებას!

მე-9 კლასი

1. (3 ქულა) უკაცრიელ კუნძულზე მობილურმა ოპერატორმა “ცივილიზაცია” სერვისის მიწოდება გადამწყვიტა. სერვისით სარგებლობა თვეში 20 ლარი ღირს, პლუს 5 თეთრი თითო გაგზავნილ ტექსტურ შეტყობინებაზე, პლუს 10 თეთრი 30 საათზე მეტი გამოყენებული თითოეული წუთისთვის. რობინზონმა გასულ თვეს გაგზავნა 100 ცალი ტექსტური შეტყობინება და ისაუბრა 30.5 საათი. რამდენი უნდა გადაიხადოს მან?

ა. 24.5 ლარი ბ. 25.5 ლარი გ. 28 ლარი დ. 31 ლარი

2. (7 ქულა) ასქულამ აირჩია ორი მიმდევრული დადებითი მთელი რიცხვი, რომელთა ჯამი 100-ზე ნაკლებია. □ან აიყვანა ეს ორივე მთელი რიცხვი კვადრატში და შემდეგ იპოვა ამ მიღებულ რიცხვთა სხვაობა. ჩამოთვლილთაგან რომელი შეიძლება ყოფილიყო ეს სხვაობა?

ა. 64 ბ. 79 გ. 96 დ. 131


3. (9 ქულა) რამდენი 3-ნიშნა დადებითი მთელი რიცხვი არსებობს, რომლებშიც შემავალ ციფრთა ნამრავლი უდრის 24-ს?

ა. 15 ბ. 18 გ. 21 დ. 24

4. (6 ქულა) a და b ისეთი ორნიშნა რიცხვებია, რომ $a - b = 50$ რომელი მეტია:


- I. a/b
- II. 7

- ა. პირველი მეტია
- ბ. მეორე მეტია
- გ. თანაბარია
- დ. ვერ დავადგენთ



5. (7 ქულა) რა არის გაფერადებული არის ფართობი თუკი ნახაზზე მოცემულია ერთეულოვანი ბადე?

- ა. 6 ბ. 8 გ. 10 დ. 12



6. (6 ქულა) ბოლო ნახაზზე მოცემულია 7x7-ზომის, ფილებით დაფარული სააბაზანოს იატაკი, რომელიც მოპირკეთებულია 1-კვადრატული მეტრის შავი და თეთრი ფილებით. ყურადღება მიაქციეთ, რომ კუთხეებში აუცილებლად თეთრი ფილებია. თუ 15x15 ზომის იატაკი იმავე წესით უნდა იყოს მოპირკეთებული, რამდენი თეთრი ფილა დაგვჭირდება?

- ა. 44 ბ. 64 გ. 96 დ. 106